ეროვნული ბიბლიოთეკა





პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 184 (4694)

1972 წ. 16 სექტემბერი, შაბათი, ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



München-72

## გილოცავთ მაღალ წოდებას

მიუნხენის XX ოლიმპიურ თამაშებში ბრწყინვალე მიღწევებისთვის საბჭოთა სპორტსმენების დიდ ჯგუფს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა. სიხარულით უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ საქართველოს წარმომადგენლებიც არიან: ეს მაღალი წოდება მიენიჭათ თამაშების ოქროს ლაურეატებს — ძიუდოისტ შოთა ჩოჩიშვილს, კალათბურთელ მიხეილ ქორქიას და ნიჩბოსან ვიქტორ კრატასიუკს.

მაღალ წოდებას გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

## მინსკის საპატიო მოქალაქე

მინსკი, 14 სექტემბერი. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მორიგი სესიის მონაწილეები გულთბილად მიესალმნენ მიუნხენის ოლიმპიადის ერთ-ერთ გმირს, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში ა. მედვედს.

ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. კოვალიოვმა მქუხარე ტაშის გრიალში ამ შესანიშნავ ათლეტს ქალაქ მინსკის საპატიო მოქალაქის ალისფერი ლენტი, მოწმობა და სამკერდე ნიშანი უბოძა.

## საბჭოთა სპორტის ბრწყინვალე გამარჯვება

# ადგილები, მედლები, ქულები

(არაოფიციალური გუნდური ჩათვლა)

საბოლოო ცხრილი

| ქვეყანა | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | IV | V | VI | მედლები სულ | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სსრ კავშირი | 50 | 27 | 22 | 16 | 19 | 9 | 99 | 665,5 |
| 2. აშშ | 33 | 30 | 30 | 29 | 21 | 8 | 93 | 636,5 |
| 3. გდრ | 20 | 23 | 23 | 22 | 20 | 24 | 66 | 474,75 |
| 4. გფრ | 13 | 14 | 16 | 19 | 20 | 12 | 40 | 311 |
| 5. უნგრეთი | 6 | 13 | 16 | 9 | 7 | 10 | 35 | 219,25 |
| 6. იაპონია | 13 | 8 | 9 | 9 | 9 | 5 | 30 | 214,5 |
| 7. პოლონეთი | 7 | 5 | 9 | 8 | 7 | 12 | 21 | 158 |
| 8. ბულგარეთი | 6 | 10 | 5 | 8 | 3 | 3 | 21 | 144,5 |
| 9. ავსტრალია | 7 | 8 | 2 | 7 | 5 | 4 | 17 | 131 |
| 10. ინგლისი | 4 | 5 | 9 | 5 | 6 | 8 | 18 | 121,5 |
| 11. იტალია | 5 | 3 | 11 | 5 | 3 | 4 | 19 | 118,5 |
| 12. რუმინეთი | 3 | 6 | 7 | 4 | 8 | 8 | 16 | 115 |
| 13. შვეცია | 4 | 6 | 5 | 3 | 4 | 9 | 15 | 104 |
| 14. საფრანგეთი | 2 | 4 | 7 | 5 | 2 | 4 | 13 | 83,5 |
| 15. ჩეხოსლოვაკია | 2 | 4 | 2 | 6 | 4 | 5 | 8 | 72 |
| 16. ფინეთი | 3 | 1 | 4 | 3 | — | 6 | 8 | 57 |
| 17. კენია | 2 | 3 | 4 | 2 | 1 | 4 | 9 | 53 |
| 18. კუბა | 3 | 1 | 4 | 1 | 2 | 3 | 8 | 51,5 |
| 19. ჰოლანდია | 3 | 1 | 1 | 2 | 3 | 6 | 5 | 48 |
| 20. კანადა | — | 2 | 4 | 4 | 2 | 6 | 6 | 46,25 |
| 21. იუგოსლავია | 2 | 1 | 2 | 1 | 6 | 1 | 5 | 41,5 |
| 22. ნორვეგია | 2 | 1 | 1 | — | 3 | 2 | 4 | 31 |
| 23. კ.დრ | 1 | 1 | 3 | — | — | 2 | 5 | 25,5 |
| 24. შვეიცარია | — | 3 | — | 1 | 1 | 4 | 3 | 24 |
| 25-26. ახალი ზელანდია | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 3 | 23 |
| 25-26. ბელგია | — | 2 | — | 3 | 1 | 2 | 2 | 23 |
| 27. ირანი | — | 2 | 1 | 1 | 3 | — | 3 | 22 |
| 28. ბრაზილია | — | — | 2 | 3 | 1 | 2 | 2 | 20,5 |
| 29. ავსტრია | — | 1 | 2 | — | 1 | 2 | 3 | 17 |
| 30. დანია | 1 | — | — | 2 | — | 1 | 1 | 14 |
| 31. მონღოლეთი | — | 2 | — | 1 | — | — | 2 | 13 |
| 32. საბერძნეთი | — | 2 | — | — | 1 | 1 | 2 | 12,75 |
| 33. ესპანეთი | — | — | 2 | 1 | 1 | — | 2 | 12,5 |
| 34-35. უგანდა | 1 | 1 | — | — | — | — | 2 | 12 |
| 34-35. კოლუმბია | — | 1 | 2 | — | — | — | 3 | 12 |
| 36. თურქეთი | — | 1 | 1 | — | 1 | — | 2 | 10,5 |
| 37. ინდოეთი | — | — | 1 | 2 | — | — | 1 | 10 |
| 38-39. ეთიოპია | — | — | 2 | — | — | — | 2 | 9 |
| 38-39. სამხრეთ კორეა | — | 1 | — | 1 | — | — | 1 | 9 |
| 40. განა | — | — | 1 | 1 | — | 1 | 1 | 7,5 |
| 41. მექსიკა | — | 1 | — | — | 1 | — | 1 | 7 |
| 42. იამაიკა | — | — | 1 | — | 1 | — | 1 | 7 |
| 43-46. არგენტინა | — | 1 | — | — | — | — | 1 | 5 |
| 43-46. ლიბანი | — | 1 | — | — | — | — | 1 | 5 |
| 43-46. პაკისტანი | — | 1 | — | — | — | — | 1 | 5 |
| 43-46. ტუნისი | — | 1 | — | — | — | — | 1 | 5 |
| 47-48. ნიგერი | — | — | 1 | — | — | — | 1 | 3,5 |
| 47-48. ნიგერია | — | — | 1 | — | — | — | 1 | 3,5 |
| 49. ეკვადორი | — | — | — | 1 | — | — | — | 3 |
| 50-51. ბირმა | — | — | — | — | 1 | — | — | 2 |
| 50-51. პუერტო-რიკო | — | — | — | — | — | 2 | — | 2 |
| 52-53. პორტუგალია | — | — | — | — | — | 1 | — | 1 |
| 52-53. სენეგალი | — | — | — | — | — | 1 | — | 1 |

# ტულიპები და იმპროვიზებული პრეს-კონფერენცია

ჰოლანდია ტულიპების ქვეყანაა. ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდებოდა ყველა, ვინც კი თბილისის „დინამოსა" და ენსხედეს „ტვენტეს" მატჩის წინ გასახდელში შეიხედავდა. „ტვენტეს" მოთამაშეებმა შემოიტანეს ვეებერთელა ყუთი და, როცა მას თავი ახადეს, ყველას თვალი მოსჭრა ნაირფერი ტულიპების „ცისარტყელამ". სტუმრებმა იქ მყოფთ ყვავილები მიართვეს, ხოლო ნაწილი ფეხბურთელებმა მინდორზე გაიტანეს და მაყურებლებს უსახსოვრეს. ეს ლამაზი ჟესტი შინაარსით მართლაც ჰოლანდიური იყო: ყვავილებზე უკეთესი და ძვირფასი „ტულიპების ქვეყნის" წარმოგზავნილებს თბილისელთათვის რა უნდა მიერთმიათ!..

უეფა-ს თასის გათამაშების ამ შეხვედრას თბილისში 50-მდე ენსხედელი და ჰოლანდიის წამყვანი გაზეთების რამდენიმე სპორტული მიმომხილველი დაესწრო (ზოგიერთმა ჰოლანდიელმა ჟურნალისტმა თბილისს პირდაპირ მიუნხენის ოლიმპიური თამაშებიდან მოაშურა).

მატჩის წინადღეს სტუმარ ჟურნალისტებთან საუბარში გამოირკვა, რომ ისინი საკმაოდ კარგად იყვნენ ინფორმირებული თბილისის „დინამოს" შესახებ. მათ განსაკუთრებით აინტერესებდათ ჩამოუსწრებდნენ თუ არა შეხვედრას სსრ კავშირის ნაკრების წევრები მ. ხურცილავა და რ. ძოძუაშვილი. როცა თამაშის წინ გაიგეს, რომ ორივე თბილისელი მცველი მინდორზე გამოვა, ჰოლანდიელი გულშემატკივრებიც და ჟურნალისტებიც აღფრთოვანდნენ, თუმცა უმრავლესობამ გამოთქვა აზრი, რომ ხურცილავა და ძოძუაშვილი „ტვენტეს" ამოცანას კიდევ უფრო გაართულებდნენ.

ჰოლანდიელმა ჟურნალისტებმა თბილისის „დინამოს" მისამართით ბევრი კომპლიმენტი გამოთქვეს. მატჩის წინადღით ისინი ეწვივნენ დინამოელთა საწვრთნელ ბაზას დიღომში, სადაც უფროს მწვრთნელს გ. კაჩალინს ესაუბრნენ. ამ ვიზიტის დროს მოხდა ის, რამაც ყველა ჩამოსული ჟურნალისტი ჩვენი გარემარბის დათო ყიფიანის გულშემატკივრად და მეგობრად აქცია. კაჩალინთან საუბარი რომ იწყებოდა, თარჯიმანი ახლომახლო არ აღმოჩნდა და... „მაშველ ძალად" დათო მოევლინათ, რომელმაც თარჯიმნობა ითავა და ისე კარგად გაართვა თავი „ინგლისურად მაღალ დონეზე საუბარს", რომ სტუმართა აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. ამ ეპიზოდს გაგრძელებაც ჰქონდა: როცა მატჩის შემდეგ ფეხბურთელები გასახდელში ჩავიდნენ, ჰოლანდიელი ჟურნალისტები შეცვივდნენ დინამოელთა ოთახში, გადაეხვივნენ მ. ხურცილავას, რომელიც მიუნხენში გაეცნენ, შემდეგ კი საშხაპედან ახალგამოსულ დათოს მოკრეს თვალი, მივარდნენ, ხელი აუწიეს (როგორც ეს რინგზე ხდება) და გაიძახოდნენ: ჩვენმა თარჯიმანმა არ შეგვარცხვინა! თქვენ მართო თარჯიმნობა როდი შეგძლებიათ.

მატჩის შემდეგ, გასახდელში ჟურნალისტებმა „დაკითხვა" მოუწყვეს გუნდების მწვრთნელებს. სიტუაცია ძალიან საინტერესო იყო. ერთ კედელთან „ტვენტეს" მწვრთნელი, მეტად ტემპერამენტიანი ქ. კონი „იგერიებდა" საბჭოთა ჟურნალისტების „შეტევას", ხოლო მეორე კედელთან გ. კაჩალინი მისთვის ჩვეული მშვიდი მეტყველებით უმკლავდებოდა ჰოლანდიელებს. მისი მორიგი მოსწრებული პასუხის შემდეგ ზოგიერთი სტუმარი შესძახებდა ხოლმე კოლეგებს: „ხომ გეუბნებოდით, ფეხბურთის პროფესორია", „რა გასაკვირია, ეროვნული ნაკრები რომ ჰყავდა" და ა. შ. ამ „დაკითხვის" დროს კაჩალინი მხოლოდ ერთხელ აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში და სწორედ მაშინ, როცა საუბარი გივი ნოდიას შეეხო. ერთ-ერთმა სტუმარმა კაჩალინს ჰკითხა: „ბატონო კაჩალინ, ჩვენ ყველანი ვესწრებოდით ბელგიაში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრებს და გაოცებული ვართ, რომ ასეთი ბრწყინვალე ფორვარდი არ თამაშობდა. ეს გასაოცარია, ვინაიდან გივი ნოდიას მსგავსი საბჭოთა ნაკრებში არავინ იყო. რატომ არ ურჩიეთ მისი გამოყენება?"

კაჩალინმა დააყოვნა, შემდეგ კი უპასუხა: „ჩემი აზრით, იგი ამჟამადაც საუკეთესო ფორვარდია. მეტს ვერაფერს გეტყვით".

ამ იმპროვიზებულ პრეს-კონფერენციაზე სტუმრებმა კმაყოფილება გამოთქვეს მასპინძლობით და, რაც მთავარია, მატჩის შედეგით.

კლუბის პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ „ტვენტესთვის" შემდეგ ტურში გასვლა პრობლემა არ იქნება. რაც შეეხება კონს, იგი თავის გუნდს შემდეგ ტურში თითქმის გასულად თვლის.

აღსანიშნავია, რომ „ტვენტეს" ხელმძღვანელებისა და მოთამაშეებისგან განსხვავებით, ჰოლანდიელი ჟურნალისტები უფრო რეალისტურად უყურებენ მომავალ შეხვედრას ენსხედეში. მათი აზრით, „ტვენტე" შინ ბევრად უკეთ ითამაშებს, მაგრამ „დინამოსაც" გაცილებით უკეთესად თამაში ძალუძს, თუ, ცხადია, ნახევარდაცვა უფრო სწრაფად და აზრიანად იმოქმედებს.

თბილისელთა თამაშის მთავარ ნაკლად ყველა სტუმარმა ერთხმად აღიარა ნელი ტემპი. ასევე ერთხმად მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს გ. ნოდია, რომლის შეფასებისას სტუმრებმა ისეთი ეპითეტები გამოიყენეს, რომ მათი აქ ჩამოთვლა ბევრ კინოვარსკვლავს დაახვევდა თავბრუს. ითქვა, რომ გ. ნოდია ნებისმიერი ნაკრების წინა ხაზს (განსაკუთრებით კი საბჭოთა ნაკრების თავდასხმას) დაამშვენებდა.

ა. რონდელი.

• • •

სურათებზე: გ. ნოდიას პირველი და მეორე გოლები „ტვენტეს" კარში.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში

## პირველად

ყაზახეთის ფიზკულტურის ინსტიტუტში პირველად ჩატარდა პირადი შეჯიბრება ეროვნულ ჭიდაობა ყაზახშა-კურესში. პირველობამდე მოეწყო სემინარი ჭიდაობის მსაჯობის წესებზე. ეს წესები ჭიდაობაში ჩახედულმა ხალხმა დაამუშავა და ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დაამტკიცა ჭიდაობის კათედრა კავშირს არ წყვეტს მწვრთნელებთან და ამ ეროვნული სახეობის მცოდნე ხალხთან.

ყარაგანდის ოლქის ხანა-არკის სპორტული სკოლის დირექტორი ტ. ასკაროვი, რომელმაც ათ წელზე მეტი შესწირა ოლქში ყაზახშა-კურესის განვითარებას, წერს, რომ სარტყელში ჩავლება ნებისმიერი უნდა იყოს, რადგან ეს გაამდიდრებს მოჭიდავეთა ტექნიკასაც და ტაქტიკასაც.

გამარჯვებულის უფრო ობიექტურად დასახელებისთვის აუცილებელია პრაქტიკაში შემოღებული იქნეს გამარჯვება აშკარა უპირატესობით. წესებში ეს გამოტოვებულია. ჩვენი წინადადებაა სხვაობა 8 ქულით.

ერთი მოჭიდავის აშკარა უპირატესობის დროს ჭიდაობა წყდება. გამარჯვებულს ნული, დამარცხებულს კი 4 საჯარიმო ქულა ეწერება. ბევრი სპეციალისტი წინადადებას იძლევა, რომ მოჭიდავეებმა ერთმანეთს სარტყელი შემოარტყან. ჩვენ ვეთანხმებით ამას.

საბოლოო ჯამში ყაზახშა-კურესის ახალი წესები მოიწონეს სპორტის ამ რჩეული ეროვნული სახეობის გულშემატკივრებმა.

დღემდე ყაზახშა-კურესის მასობრივად განვითარებაში პრობლემა იყო სპეციალისტების საკითხი. მაგრამ ჭიდაობის კათედრის თაოსნობით ყაზახეთის ფიზკულტურის ინსტიტუტში 1970 წლიდან პირველად დაიწყეს სტუდენტთა მიღება პედაგოგიურ ფაკულტეტზე.

1974 წელს მოეწყობა პირველი გამოშვება ეროვნული ჭიდაობის მწვრთნელ-მასწავლებლებისა, რომლებმაც მომავალი ჩემპიონები უნდა აღზარდონ ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

**მ. ბოლგამბაევი,**
ყაზახეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭიდაობის კათედრის მასწავლებელი.

## ფოტოხელოვნების გამოფენა

ალმა-ათაში მოეწყო მხატვრული ფოტოგრაფიის პირველი გამოფენა — „ფიზკულტურა და სპორტი ყაზახეთში". გამოფენის თაოსნები არიან ყაზახეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტი, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, პროფსაბჭოს რესპუბლიკური ფოტო-კინოკლუბი.

გამოფენის მონაწილე 50 ავტორმა, რომლებიც ალმა-ათისა და რესპუბლიკის სხვა ოლქების წარმომადგენლები არიან, სამსჯავროზე გამოიტანა 200-ზე მეტი ნამუშევარი. ექსპოზიციისთვის ჟიურიმ 97 ფოტო შეარჩია. თითქმის ყოველ სტენდზე ნახავთ საინტერესო ნამუშევრებს, რომლებიც გამოფენის დამთვალიერებლებს იზიდავენ მძაფრი სიტუაციებით, ორიგინალური გამომსახველობითი ფორმით, ავტორის შეხედულებათა თავისებურებით.

## სუპერ სერია-72

● ელისტა, 14 სექტემბერი. მოტობურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი — ადგილობრივი „კომეტა-ავტომობილისტი" 16 სექტემბრიდან ამ საპატიო პრიზის ახალ გათამაშებაში ჩაებმება. გრენობლის მახლობლად დაწყებულ ტურნირში საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად კონტინენტის უძლიერესი საკლუბო გუნდები მიიღებენ მონაწილეობას. საფრანგეთში გამგზავრების წინ ელისტელებმა რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა გამართეს გფრ-ის გუნდებთან: ინცელში მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 5:1, კუპენჰაინში — 5:2, ვაიდენში კი ფრედ დაამთავრეს მატჩი — 1:1. საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში არიან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ნ. ბელიავცევი, ი. ჩუდიკოვი, ვ. კრავცოვი, ვ. კუზიჩენკო, ნ. ნაგაიკინი.

● **მოსკოვი, 14 სექტემბერი.** გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზის ტრადიციული გათამაშების ფინალში 16 სექტემბერს ერთმანეთს შეხვდებიან მოსკოვის ჰოკეისტთა გუნდები — „სპარტაკი" და ცსკა. დღეს აქ გამართულ ნახევარფინალურ მატჩებში სპარტაკელებმა ანგარიშით 8:2 დაამარცხეს რიგის „დინამო", არმიელებმა კი გორკის „ტორპედოს" სძლიეს — 6:2.

● *სტოკჰოლმი, 14 სექტემბერი.* აქ დიდი ინტერესით მოელიან შვეციის ჰოკეისტთა ნაკრების შეხვედრებს კანადის საუკეთესო პროფესიონალებთან. მატჩები 16 და 17 სექტემბრისთვისაა დაგეგმილი. ბილეთები, რომელთა ფასი ორჯერ მეტია, ვინემ სტოკჰოლმში ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ღირდა, დიდი ხანია გაყიდულია. კანადელები უკვე ჩამოფრინდნენ შვეციის დედაქალაქში სტუმრები დღეში ორჯერ ვარჯიშობენ. აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე შვეციის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებთან შეხვედრის წინ კანადის ჰოკეის ხელმძღვანელებმა ოპტიმიზმი გამოავლინეს, მაგრამ შეკითხვაზე — შეძლებენ თუ არა შვედები თუნდაც ერთი მატჩის მოგებას, პროფესიონალთა მწვრთნელმა ჰ. სინდენმა განაცხადა: „ჩვენ ძალიან ბევრი რამ ვისწავლეთ რუსებთან მატჩებში. მე აღტაცებული ვარ საბჭოთა მოთამაშეებით... და თუ შვედების გუნდი ისევე კარგია, როგორც სსრ კავშირის ნაკრები, და ხარლამოვის ბადალი მოთამაშეები ჰყავს, მაშინ მასპინძლებს გამარჯვების შანსი აქვთ". ცნობილმა პროფესიონალმა ჰოკეისტმა ბ. ორმა თქვა, რომ „ისეთ გუნდთან წაგება, როგორიც საბჭოთა ნაკრებია, სამარცხვინო არ გახლავთ". ასევე საბრძოლოდაა განწყობილი შვედების მწვრთნელი ჩ. სვენსონი. მან „ტრე კრუნურში" მოიწვია პროფესიონალებში ხელახლა გადასული სტერნერი.

სუპერ სერია-72

*მასალები დაწერილია სპეციალურად „ლელოსთვის"*

# გადიოდა წლები...

ეს იყო ნახევარი საუკუნის წინ, 1920 წელს. საბჭოთა ყაზახეთის დედაქალაქს მაშინ საგუბერნიო ქალაქი ვერნი ერქვა. დღევანდელი ალმა-ათის ერთ-ერთ ყველაზე ხალხმრავალი მაგისტრალის — აბაის პროსპექტის ადგილზე ხრიოკი იყო. იმ დღეს იქ უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. სემირეჩენსკის საოლქო სამხედრო კომისარიატთან არსებულმა „ვსეობუჩის" განყოფილებამ ქალაქის ისტორიაში პირველი მასობრივი სპორტული დღესასწაული მოაწყო. დამსწრეთაგან ბევრმა თავის ცხოვრებაში პირველად ნახა ფეხბურთელთა მატჩი, მძლეოსანთა გამოსვლა, იარაღებზე ვარჯიში...

სამოქალაქო ომი ის-ის იყო დამთავრდა. ყაზახეთის ველებს შიმშილი, ეპიდემია, კულაკთა აჯანყებები მოედო. საბჭოთა ხელისუფლებას უამრავი გადაუდებელი სოციალური, სამეურნეო, პოლიტიკური ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი. მაგრამ მაინც დარჩა დრო ფიზკულტურის, როგორც ახალგაზრდობის ყოველმხრივი აღზრდის შემადგენელი ნაწილის, პროპაგანდისთვის...

სპორტული მუშაობის დასაწყებად ყამირი უნდა გაეტეხათ: არც შენობები ჰქონდათ, არც ინვენტარი, არც ინსტრუქტორები ჰყავდათ, არც სპორტსმენები... ალმა-ათის საოლქო არქივში იმ წლების ერთი ძვირფასი დოკუმენტია დაცული. „ვსეობუჩის" ცირკულარში ნათქვამია: „წინადადებას გაძლევთ ამ საბუთის მიღებისთანავე პრესისა და ცალკეული განცხადებების საფუძველზე მოსახლეობას სთხოვოთ, ისევე როგორც ყველა მთავრობისა და საზოგადოებრივ დაწესებულებას, „ვსეობუჩის" განყოფილებაში რეგისტრაციაში გაატარონ მთელი ქონება და აღჭურვილობა, რაც შეიძლება სპორტს გამოადგეს, მაგალითად, ფეხბურთის ბურთები, ბადროები, შუბები, ბირთვები, თხილამურები, ციგურები, სპორტსმენთა ტანსაცმელი და სხვ. ყველაფერი ჩაიწეროს ოქმში და აღინიშნოს, სახელდობრ ვის და სპორტის რა საგანი აქვს, როგორია (ახალია თუ შესაკეთებელია) და რამდენად აფასებს პატრონი".

1920 წელს ალმა-ათაში პირველი სპორტული კლუბი გაიხსნა — ყოფილი სამასწავლებლო სემინარიის დარბაზი და რამდენიმე ოთახი გამოიყენეს. ინვენტარი და სპეციალური იარაღები, „განათების პროდუქტები" არ ჰყოფნიდათ. „ვსეობუჩის" ადგილობრივმა განყოფილებამ ტაშკენტს სთხოვა 25 ფუთი ნავთი კლუბისთვის...

დღეს ყაზახეთის რესპუბლიკაში 108 სტადიონია, თითქმის 3000 სპორტული დარბაზი, 47 საცურაო აუზი, 230-ზე მეტი სათხილამურო ბაზა, 18000 სპორტული მოედანი, 869 ჰოკეისა და 5000-ზე მეტი საფეხბურთო მინდორი. ჩვენი ფიზკულტურელების განკარგულებაშია ისეთი მძლავრი სპორტული ნაგებობა, როგორიცაა 30000-ადგილიანი ცენტრალური სტადიონი, მძლეოსნური მანეჟი და სპორტის სასახლე ალმა-ათაში, სპორტის სასახლეები ყარაგანდასა და უსტ-კამენოგორსკში, ზამთრის საცურაო აუზები ალმა-ათაში, აქტიუბინსკში. მალე მზად იქნება მედეოს მაღალმთიანი საციგურაო, სპორტის სასახლე ხელოვნური ყინულით აქტიუბინსკში, დახურული საციგურაო ხელოვნური ყინულით თემირთაუში, სამთოსათხილამურო და საცხენოსნო ბაზები ყაზახეთის დედაქალაქში. ბოლო ხუთი წლის მანძილზე მარტო ყარაგანდის ოლქში აიგო 5 სტადიონი, 3 საცურაო აუზი, 88 სპორტული დარბაზი, მოეწყო 300-მდე საფეხბურთო მინდორი და მოედანი. შეიქმნა 11 დასვენების ზონა. რესპუბლიკის სხვა ოლქებში ათი სპორტული ახალმშენებლობაა გაშლილი.

... 1914 წელი. ადგილობრივი სპორტის მოყვარულების თაოსნობით აქტიუბინსკში ველორბოლა მოეწყო. მისმა 12 მონაწილემ გერმანული მანქანებით სტეპში თავისებური დისტანცია გაიარა, სამჯერ შემოიარა სამვერსიანი წრე. პრიზი მოიპოვა ადგილობრივი შრომის სკოლის ინსტრუქტორმა ს. ბაზიროვმა.

... 1971 წელი. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, მშვიდობის ველორბოლის მრავალგზის მონაწილე, ყაზახი მრბოლელი ოლეგ ტუსუმზანოვი საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში წარმატებით გამოვიდა ალჟირში, ველოსიპედისტთა შეჯიბრებაში. ყაზახეთს საკავშირო და საერთაშორისო რბოლებში სახელი გაუთქვეს შესანიშნავმა სპორტსმენებმა ვლადისლავ კუხარსკიმ, ვალენტინ ბობოლევმა, თამარ ლუნიოვამ.

საბჭოთა ყაზახეთის ტერიტორიაზე 12 სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს. ჩვენი რესპუბლიკის მასობრივი და მრავალეროვნული სპორტი ამაყობს ისეთ სპორტსმენთა სახელებით, როგორიც არიან ვ. სოლდატენკო და ა. აბდრახმანოვი, მ. კროშინა და გ. დრექსლერი, ჟ. კუკუმოვი და ი. ტოგობეცკი, ვ. ტოშჩენკო და მ. ხვანი, პ. სურიკოვი და ვ. ტროიცკი, ა. ნაზარენკო და ვ. მონახოვი...



სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში ყაზახეთის გუნდი პროგრამით გათვალისწინებულ ოცდაოთხივე სახეობაში გამოვიდა და VII საერთო გუნდური ადგილი დაიკავა. ყაზახეთის ექვსი სპორტსმენი მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშების მონაწილე იყო. მათგან სამი (ვ. კრავჩენკო, ნ. სმოლეევა, ო. ანტროპოვი) ფრენბურთში ჩემპიონი გახდა, ბაკულინმა კი კლასიკურ ჭიდაობაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში მომზადდა 9 მსოფლიოს, 6 ევროპის, 65 საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. 200-ზე მეტი სპორტსმენი საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორია.

ნაყოფიერი აღმოჩნდა გასული ხუთწლედი. ყაზახეთში მომზადდა 300 ათასი მასობრივი თანრიგების სპორტსმენი, 32 ათასი სპორტის ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი, 1110 სსრ კავშირის სპორტის ოსტატი და 38 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. რესპუბლიკაში შესამჩნევად გაუმჯობესდა ფიზკულტურული კადრების მომზადების საქმე. გაიხსნა ფიზიკური აღზრდის შვიდი ფაკულტეტი და განყოფილება პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებთან, ერთი ფიზკულტურის ინსტიტუტი და ორი ტექნიკუმი. ფიზკულტურულ კოლექტივებში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსმენი აღიზარდა. ჩვენი მწვრთნელები განსაკუთრებულ იმედს ამყარებენ ახალგაზრდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებზე ა. იმანყულოვზე (თავისუფალი ჭიდაობა), ა. კანგელდიევზე და ე. სულთანალიევზე (კლასიკური ჭიდაობა), ჟ. კუკუმოვზე (კრივი).

დღევანდელ ყაზახეთში ძალიან პოპულარული გახდა თანამედროვე ხუთჭიდი, მძლეოსნობა, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა, კრივი, სახეობები, რომლებსაც სჭირდება არა მარტო მაღალი ოსტატობა, არამედ უკიდურესად დაძაბული ფიზიკური და სულიერი ძალაც.

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ახალი სამკერდე ნიშნის პროექტისთვის გამოცხადებულ კონკურსში საუკეთესო აღმოჩნდა ყაზახეთის ფიზკულტურის ვეტერანის, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ე. კოლოკოლნიკოვის ესკიზი.

ყაზახეთის სპორტკომიტეტი ჯერ კიდევ შარშანდლიდან ეწევა საფუძვლიან საორგანიზაციო მუშაობას ფიზკულტურული მოძრაობის პრაქტიკაში „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის დასანერგად. ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც განსაზღვრა მშდ კომპლექსის დანერგვისთვის ბრძოლაში ფიზკულტურული ორგანიზაციების მთავარი ამოცანები.

ყაზახეთში წლის მთავარი სპორტული მოვლენა იქნება სსრ კავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი თანამედროვე ხუთჭიდში, აგრეთვე, ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების ასპარეზობა კრივში საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე, ბევრი სხვა შეჯიბრება. იუბილეს დღეებში მოეწყობა ყაზახეთის ახალგაზრდა ქალაქების — დიდი ოქტომბრის შედეგად შობილი ქალაქების რადიოგადაძახილი.

**ა. აკპაევი,**
ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

• • •

სურათებზე: პავლოდარელი სპორტის ოსტატობის კანდიდატი ლ. ცოი დვირზე ვარჯიშისას. მან წარმატებით იასპარეზა ყაზახეთის ჩემპიონატში და პრიზიორის სახელიც მოიხვეჭა; მოკრივეთა შეხვედრის მომენტი. მარჯვნივ ა. აბდრახმანოვია.

დ. ეგიზოვისა და პ. საფეიალოვის ფოტოები.



# ფეხბურთი-72

## სსრ კავშირის პირველობა

# 2 : 1

**II ლიგა ზონა**

14 სექტემბერს ფოთის „კოლხეთმა" ლანჩხუთის „გურიას" უმასპინძლა. ორმხრივი იერიშებით დაწყებული მატჩის შესვენებამდე ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია გადამწყვეტ უპირატესობას. სტუმრებს პირველ ათ წუთში ორჯერ ჰქონდათ გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ ვერ გამოიყენეს. 30-ე წუთზე კი, როცა „კოლხეთის" მოთამაშემ ცაავამ ბურთი კუთხურიდან ჩამოაწოდა, საჯარიმო მოედანზე მცველთა დაბნეულობით კარგად ისარგებლა ჯაიანმა და გახსნა ანგარიში — 1:0. წუთიც არ იყო გასული, რომ ლანჩხუთელი ძიძიგური უდიერად მოექცა მატჩის არბიტრს თოდაძეს, რისთვისაც მინდვრიდან იქნა გაძევებული.

ტაიმის მიწურულს ლანჩხუთელმა ძაგანიამ შორიდან ძლიერი დარტყმით წონასწორობა აღადგინა — 1:1.

შესვენების შემდეგ მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობა აშკარა იყო და მათ კიდევ ერთი გოლის გატანა შეძლეს. ეს მოხდა 53-ე წუთზე, როცა ცაავამ ორი მცველი ჩამოიტოვა, ბურთი კარგად ჩაჰკიდა საჯარიმო მოედანზე და სანაიამ თავური დარტყმით აიღო ლანჩხუთელთა კარი — 2:1.

**გ. ბასილაია.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

**სხვა ზონები**

ასე დამთავრდა: „სპარტაკი" (ორიოლი) — „შრომითი რეზერვები" (კურსკი) 3:0, „მაშინოსტროიტელი" (პოდოლსკი) — „ტრუდი" (ვორონეჟი) 1:0, „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 0:1, „დინამო" (ბრიანსკი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2:0, „ზვეზდა" (ტირასპოლი) — „დილა" (გორი) 2:0, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „დინამო" (ბათუმი) 3:1, „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) — „მერცხალი" (მახარაძე) 1:2, „დრუჟბა" (მაიკოპი) — „დინამო" (სოხუმი) 0:0.

### ვათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 28 | 17 | 8 | 3 | 47—13 | 42 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 27 | 15 | 9 | 3 | 46—21 | 39 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 28 | 16 | 4 | 8 | 37—29 | 36 |
| „დინამო" (ბათუმი) | 28 | 12 | 11 | 5 | 43—30 | 35 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 27 | 12 | 8 | 7 | 36—23 | 32 |
| „მაშინოსტროიტელი" (პოდ.) | 28 | 13 | 6 | 9 | 30—24 | 32 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 28 | 11 | 9 | 8 | 38—27 | 31 |
| „ზვეზდა" (ტირასპოლი) | 27 | 12 | 5 | 10 | 26—21 | 29 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 27 | 12 | 5 | 10 | 37—36 | 29 |
| „დილა" (გორი) | 29 | 9 | 10 | 10 | 27—28 | 28 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 28 | 9 | 10 | 9 | 27—32 | 28 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 28 | 10 | 7 | 11 | 29—32 | 27 |
| „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) | 27 | 9 | 6 | 12 | 33—33 | 24 |
| „დინამო" (სოხუმი) | 27 | 7 | 9 | 11 | 27—38 | 23 |
| „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) | 28 | 6 | 9 | 13 | 27—40 | 21 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 28 | 7 | 6 | 15 | 31—45 | 20 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 29 | 6 | 8 | 15 | 22—39 | 20 |
| „სპარტაკი" (ორიოლი) | 29 | 3 | 11 | 15 | 26—41 | 17 |
| „შრ. რეზერვები" (კურსკი) | 29 | 7 | 3 | 19 | 27—64 | 17 |

# არგენტინელთა მოთხოვნები

„ინდეპენდიენტეს" საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტმა ხოსე კორტესმა სპეციალურად მოწვეულ კონფერენციაზე განაცხადა, რომ მისი გუნდი არ გაემგზავრება ამსტერდამში საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების საპასუხო შეხვედრაზე „აიაქსთან", თუ ჰოლანდიელები ბოდიშს არ მოიხდიან და უკან არ წაიღებენ თავიანთ ბრალდებას, რომელიც მათ „ინდეპენდიენტეს" წაუყენეს.

კორტესის სიტყვით, „აიაქსის" მოთამაშეთა და ოფიციალურ პირთა განცხადებები, რომლებიც მათ ბუენოს-აირესში ფრედ დამთავრებული (1:1) მატჩის შემდეგ გააკეთეს, ჩრდილს აყენებს და შეურაცხყოფს არა მარტო ფეხბურთელებს, არამედ, საერთოდ, არგენტინელებსაც.

კორტესმა განაცხადა, რომ „აიაქსის" კლუბის ხელმძღვანელებს შესაბამისი დეპეშა უკვე გაეგზავნათ. მასში მოითხოვენ, რომ ჰოლანდიის გუნდის ხელმძღვანელებმა უარყონ თავიანთი განცხადებანი, რომლებიც მათ გამოაქვეყნეს გაზეთებში, ან ბოდიში მოიხადონ. დეპეშაში კონკრეტულად მოყვანილია ის გამონათქვამები, რომლებიც არგენტინელთა მხარემ შეურაცხმყოფელად მიიჩნია:

„აიაქსის" კლუბის პრეზიდენტი პრაავი: „...ჩვენ არ გვსურს კვლავ გავხდეთ ამგვარი ხოცვა-ჟლეტის მსხვერპლი..."

ფორვარდი კრუიფი (რომელიც 27-ე წუთზე მინდვრიდან საკაცეთი გაიტანეს). „...ჩვენ არასდროს შევხვედრივართ ისეთ სასტიკ და უხეშ გუნდს, როგორიც „ინდეპენდიენტეა"...

„აიაქსის" კაპიტანი კაიზერი: „...მაყურებელთა ქცევა კოშმარული იყო".

ამსტერდამში დაადასტურეს ბუენოს-აირესიდან დეპეშის მიღება. რაც შეეხება ამ კონფლიქტში ჰოლანდიელთა პოზიციას, კლუბის წარმომადგენლის სიტყვით, ეს ცნობილი გახდება გუნდის ხელმძღვანელთა და ფედერაციის წარმომადგენელთა თათბირის შემდეგ.

უცხოეთის მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ საკონტინენტთაშორისო თასი კვლავ სკანდალურ ამბავში გაეხვია. ერთი წლის წინათ „აიაქსმა" მასში მონაწილეობაზე უარი თქვა, ახლა კი პირველი მატჩი, ჰოლანდიელთა აზრით, იდეალურ ვითარებაში როდი წარიმართა.

მიმომხილველთა აზრით, ამ კონფლიქტში არგენტინელთა პოზიცია უკეთესია. მათ უკვე გამართეს შეხვედრა ბუენოს-აირესში. საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების პირობებით, საკუთარ მინდორზე გამართული მატჩის მთელი შემოსავალი მასპინძლებს რჩებათ. „ინდეპენდიენტემ" თავისი წილი უკვე მიიღო, „აიაქსს" კი ჯერჯერობით ხარჯის მეტი არაფერი უნახავს.

რას იზამენ ჰოლანდიელები? შეელევიან შემოსავალს და კვლავ ძველ პოზიციაზე იდგებიან, თუ კონფლიქტის შერბილებას შეეცდებიან? ამას სულ მალე გავიგებთ: განმეორებითი მატჩი ამსტერდამში ხომ 28 სექტემბრისთვისაა დანიშნული.

(გაზეთი „სოვეტსკი სპორტი").

ჩემპიონთა თასზე — უეფა-ს თასზე

# ერთნაირი ანგარიშით

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი მატჩი კიევის „დინამომ" 13 სექტემბერს ინსბრუკში გამართა ადგილობრივ „სვაროვსკი-ვაკერთან". როცა თამაშის დამთავრებას 2 წუთი აკლდა, კიეველმა კოლოტოვმა მეტოქეთა კარი აიღო და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა — 1:0.

უეფა-ს თასის გათამაშების მონაწილე ერევნის „არარატი" 14 სექტემბერს კიპროსში ქალაქ ლარნაკის ეპა-ს შეხვდა. პირველ ტაიმში ვერც ერთმა გუნდმა ვერ გახსნა ანგარიში. შესვენების მერე ბურთი საკუთარ კარში გაიტანა ვასილიუმ და გამარჯვება „არარატს" დარჩა — 1:0.

# საქართველოს პირველობა

გაიმართა პირველი ჯგუფის გუნდების მორიგი შეხვედრები.

● „სალხინო" (გეგეჭკორი) — „ვარკეთილი" (გარდაბანი) 2:2. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

პირველ ნახევარში სტუმრებმა კარგად ითამაშეს და თაბაგარმა გოლიც გაიტანა. შესვენების შემდეგ თამაში გეგეჭკორელთა უპირატესობით წარიმართა: ჯერ ოდიშარიამ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით ანგარიში გაათანაბრა, მერე კი ჩხეტიამ დააწინაურა თავისი გუნდი. და მაინც, საპასუხო გოლი მასპინძელთა კარში გაიტანა მჭედლიშვილმა.

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:1. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

ანგარიში გახსნა სამტრედიელმა მანჯგალაძემ, ტაიმის ბოლოს კი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით თბილისელმა ქილიფთარმა თანაფარდობა აღადგინა. მეორე ტაიმში გადამწყვეტი გოლი სტუდენტთა კარში გაიტანა მცველმა ჩაჩუამ.

საჯარიმო დარტყმის დროს 9-მეტრიანი დისტანციის წესის დარღვევისთვის გაფრთხილებულია თბილისელი ბ. სანოძე. ეს მისი მეორე გაფრთხილებაა წლეულს.

● „მეშახტე" (ტყიბული) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 2:1. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

● „განთიადი" (ბორჯომი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 3:0. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

● „შუქურა" (ქობულეთი) — „ივერია" (ხაშური) 4:2. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

მასპინძლებმა პირველ ტაიმშივე მიაღწიეს აშკარა უპირატესობას: პოლტაჩიდიმ და ჯობავამ გოლები გაიტანეს ხაშურელთა კარში.

მეორე ნახევარი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ქობულეთელების მჟავანაძისა და ბეჟანიძის კიდევ ორ გატანილ გოლს ხაშურელებმა კობერიძემ და ლომსაძემ ასევე ორი ბურთით უპასუხეს.

სუსტად ითამაშა ხაშურელმა მეკარემ რ. ტალახაძემ.

● „ქართლი" (გორის რაიონი) — „სულორი" (ვანი) 3:3. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

თამაში ვანელთა იერიშებით დაიწყო. მე-4 წუთზე ჩახუნაშვილმა აიღო გორელთა კარი. 5 წუთის შემდეგ კი გორელი რევაზიშვილი უმეთვალყურეოდ დატოვეს და მანაც არ დააყოვნა: ანგარიში გაათანაბრა. ტაიმის დასასრულს სოსელიამ კვლავ დააწინაურა „სულორი".

მეორე ნახევარიც ვანელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ერთი წუთის განმავლობაში იმავე რევაზიშვილმა ორჯერ აიღო მათი კარი. და აი, თამაშის დასასრულს ჩახუნაშვილმა თავური დარტყმით ლამაზი გოლი გაიტანა და ქულა იხსნა.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია გორელი ა. კოდალოვი, დროის გაყვანისთვის კი — ვანელი თ. ნიკოლაიშვილი.

● „ისანი" (თბილისი) — „სამცხე" (აწყური) 1:0. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

ბურთი მეორე ტაიმში გაიტანა ნუცუბიძემ.

გაფრთხილებულია აწყურელი მ. დიმეტრაძე.

● „კოლმეურნე" (წულუკიძე) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 0:2. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

ბურთები გაიტანეს ქანთარიამ და დემეტრაშვილმა. წულუკიძელმა ანდრიაძემ ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

● „სულორი" (ვანი) — „ვარკეთილი" (გარდაბანი) 4:1. მსაჯი ლ. ვერულიძე (ბათუმი).

● ასკ (თბილისი) — „ისანი" (თბილისი) 1:1. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

## II ჯგუფი

I ზონა

„კოლმეურნე" (ტიბაანი) — „ვარძია" (ასპინძა) 1:0, „ალაზანი" (გურჯაანი) — „მესხეთი" (ახალციხე) 2:1, „ავტომობილისტი" (ცხინვალი) — „ვაზი" (შრომა, გურჯაანის რაიონი) 4:1, „ცისკარი" (სიღნაღი) — „მევენახე" (ვაზისუბანი) 0:0, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „შირაქი" (წითელი წყარო) 3:1, „არაგვი" (დუშეთი) — „მევენახე" (ბოლნისი) 0:8, „შევარდენი" (თბილისი) — „დურუჯი" (ყვარელი) 2:0.

II ზონა

„ბახმარო" (ჩოხატაური) — „დინამო" (ქუთაისი) 1:1, ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) — „იმერეთი" (თერჯოლა) 2:2, „კომეტა" (ფოთი) — „მზიური" (გალი) 3:1, „განთიადი" (აბაშა) — „დიოსკურია" (სოხუმი) 1:2, „ამირანი" (ოჩამჩირე) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 0:0, „ჩიხურა" (საჩხერე) — „საირმე" (მაიაკოვსკი) 1:1, „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) — „განახლება" (ადიგენი) 1:1.

### ზონალური შეჯიბრებები

„ქისტაური" (ახმეტა) — „სოფლტექნიკა" (თელავი) 1:3, „იორი" (თიანეთი) — „რუბეროიდი" (გარდაბანი) 0:1, „სოფლტექნიკა" (თელავი) — „მუკუზანი" (გურჯაანი) 4:2, „მეხალიჩე" (ცხაკაია) — „ყინწვისი" (ქარელი) 2:3.

გარდაბნის „რუბეროიდს" მოგება ჩაეთვალა თელავის „ნაფარეულთან", ხოლო თელავის „ნაფარეულს" — ახმეტის „ქისტაურთან".

● ●

### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 16 სექტემბრისთვის

## I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 28 | 18 | 8 | 2 | 49—28 | 44 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 28 | 18 | 7 | 3 | 55—20 | 43 |
| „დინამო" (ზუგდიდი) | 28 | 16 | 8 | 4 | 48—18 | 40 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 28 | 14 | 7 | 7 | 44—38 | 35 |
| „სულორი" (ვანი) | 28 | 13 | 7 | 8 | 31—23 | 33 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 28 | 11 | 10 | 7 | 46—34 | 32 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 27 | 11 | 7 | 9 | 26—27 | 29 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 26 | 10 | 8 | 8 | 44—30 | 28 |
| „ისანი" (თბილისი) | 29 | 9 | 9 | 11 | 28—30 | 27 |
| „სამცხე" (აწყური) | 28 | 10 | 6 | 12 | 46—43 | 26 |
| „კახეთი" (თელავი) | 25 | 11 | 4 | 10 | 34—35 | 26 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 29 | 10 | 6 | 13 | 34—46 | 26 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 28 | 11 | 3 | 14 | 49—46 | 25 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 28 | 9 | 6 | 13 | 29—42 | 24 |
| „ივერია" (ხაშური) | 28 | 10 | 4 | 14 | 25—46 | 24 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 27 | 7 | 8 | 12 | 16—28 | 22 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 26 | 7 | 7 | 12 | 31—36 | 21 |
| ასკ (თბილისი) | 23 | 6 | 8 | 9 | 28—28 | 20 |
| „განთიადი" (ბორჯომი) | 27 | 4 | 9 | 14 | 35—49 | 17 |
| „ვარკეთილი" (გარდაბანი) | 27 | 5 | 6 | 16 | 20—40 | 16 |
| „კოლმეურნე" (წულუკიძე) | 26 | 4 | 6 | 16 | 11—42 | 14 |

## II ჯგუფი

I ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ავტომობილისტი" (ცხინვალი) | 23 | 16 | 1 | 6 | 53—16 | 33 |
| „ვაზი" (შრომა, გურჯაანის რაიონი) | 21 | 15 | 2 | 4 | 53—22 | 32 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 22 | 13 | 5 | 4 | 37—22 | 31 |
| „ცისკარი" (სიღნაღი) | 22 | 13 | 3 | 6 | 26—16 | 29 |
| „ვარძია" (ასპინძა) | 22 | 12 | 3 | 7 | 29—20 | 27 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 22 | 10 | 4 | 8 | 32—28 | 24 |
| „მევენახე" (ბოლნისი) | 20 | 10 | 3 | 7 | 47—29 | 23 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 19 | 9 | 4 | 6 | 27—25 | 22 |
| „შირაქი" (წითელი წყარო) | 20 | 8 | 5 | 7 | 23—25 | 21 |
| „მევენახე" (ვაზისუბანი) | 19 | 7 | 6 | 6 | 35—39 | 20 |
| „კოლმეურნე" (ტიბაანი) | 22 | 8 | 4 | 10 | 24—34 | 20 |
| „ჰერეთი" (ლაგოდეხი) | 22 | 8 | 3 | 11 | 32—36 | 19 |
| „შევარდენი" (თბილისი) | 21 | 6 | 3 | 12 | 17—38 | 15 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 23 | 5 | 3 | 15 | 26—45 | 13 |
| „ბარისი" (თეთრი წყარო) | 20 | 5 | 1 | 14 | 16—54 | 11 |

შენიშვნა: წალკის „თრიალეთი" გათამაშებიდან მოხსნილია. ვინაიდან გუნდმა თამაშების 50 პროცენტზე მეტი ჩაატარა, დარჩენილ თამაშებში მის მეტოქეებს მოგება ჩაეთვალათ.

II ზონა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 22 | 15 | 5 | 2 | 41—13 | 35 |
| „ამირანი" (ოჩამჩირე) | 23 | 16 | 3 | 4 | 41—13 | 35 |
| „განახლება" (ადიგენი) | 22 | 13 | 2 | 7 | 33—26 | 28 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 21 | 9 | 8 | 4 | 36—21 | 26 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 23 | 11 | 4 | 8 | 45—32 | 26 |
| „კომეტა" (ფოთი) | 22 | 10 | 6 | 6 | 41—32 | 26 |
| „იმერეთი" (თერჯოლა) | 22 | 9 | 6 | 7 | 27—25 | 24 |
| „დიოსკურია" (სოხუმი) | 22 | 10 | 3 | 9 | 38—31 | 23 |
| „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) | 23 | 8 | 6 | 9 | 31—33 | 22 |
| „საირმე" (მაიაკოვსკი) | 22 | 7 | 7 | 8 | 39—29 | 21 |
| „დინამო" (ქუთაისი) | 22 | 7 | 6 | 9 | 41—36 | 20 |
| „განთიადი" (აბაშა) | 23 | 8 | 3 | 12 | 22—36 | 19 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 21 | 6 | 3 | 12 | 27—38 | 15 |
| „მზიური" (გალი) | 22 | 4 | 5 | 13 | 17—37 | 13 |
| ხდკ (სამტრედია) | 21 | 4 | 5 | 12 | 29—61 | 13 |
| „ხვამლი" (წალენჯიხა) | 21 | 2 | 2 | 17 | 21—66 | 6 |

ფეხბურთი

## რაიონულ სტადიონებზე

### ცხინვალი

რაიონის პირველობას ქართულ ჭიდაობაში სოფელ ერედვის უმასპინძლა. I ადგილები მოიპოვეს: ალ. და აკ. ზორცველებმა, გ. არჩუაძემ, ბ. მაისურაძემ, ტ. მილოდაშვილმა, ი. ზესთაევმა (ყველა — ერედვი), ა. კოდოევმა, ო. თუაევმა (ორივე — ქრომი).

ვ. მელქოევი.

### თელავი

„კოლმეურნის“ რაისაბჭოს პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში სოფელ ფშაველის ნაკრებმა მოიგო. II ადგილზე არიან კურდღელაურის, III — ნაფარეულის სპორტსმენები. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ვ. ვეფხიშვილი, ს. კევლიშვილი (ორივე — კურდღელაური), ა. ხუტუაშვილი (ფშაველი), გ. დალაქიშვილი (კურდღელაური), ე. დამადაევი (საფარეული), ვ. წელაური (ფშაველი), გ. ნასყიდაშვილი (კურდღელაური), შ. ლომიაშვილი (ართანა).

შ. დალაქიშვილი,
სპორტის ოსტატი.

### ზუგდიდი

ენგურქაღალდკომბინატის დოსაათის პირველადმა ორგანიზაციამ საამქროთა პირად-გუნდური პირველობა ჩაატარა მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა ელექტროგანყოფილების საამქროს კოლექტივმა. პირად შეჯიბრებაში გაიმარჯვა ა. ტიბუამ (ქაღალდის საამქრო).

ზ. ალშიბაია.

## ბუნების წიაღში





ამ სურათებზე თქვენ ხედავთ ტურისტული ცხოვრების ჩვეულებრივ, მაგრამ ამაღელვებელ მომენტებს. ზედა ფოტოზე აღბეჭდილია კოცონი, რომლის გარშემოც დასვენების საათებს ატარებენ ლაშქრობიდან დაბრუნებული ჭაბუკები და ქალიშვილები. შუა სურათზე სწორედ ლაშქრობის სტარტის მოლოდინია გამოხატული.

ქვედა ფოტო ტყის პატარა მინდორზე გამართულ საფეხბურთო მატჩზე მოგვითხრობს.

დ. კახურაშვილის ფოტოები.



## ზეცის ჩემპიონები

ერევანი, 14 სექტემბერი. დღეს გამოვლინდნენ სსრ კავშირის ჩემპიონები საპარაშუტო სპორტში.

2000 მეტრიდან ყოვნით ხტომაში, რომლის დროსაც მონაწილემ აკრობატული ფიგურების კომპლექსი უნდა შეასრულოს, თავი გამოიჩინა გუნდურ ჩათვლაში მსოფლიო ჩემპიონმა ვ. გურნიმ (დოსაათი). ქალთა შორის ოქროს მედალი მოიხვეჭა მსოფლიოს 1970 წლის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ვ. ზაკორეცკაიამ (სამხედრო-საჰაერო ძალები). გურნიმ და ზაკორეცკაიამ საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს საპარაშუტო ორჭიდში და სსრ კავშირის აბსოლუტურ ჩემპიონთა წოდება მოიხვეჭეს.

1000 მეტრიდან დაშვების სიზუსტეზე ერთეულთა ხტომებში I ადგილები დაიკავეს უნგრეთის საერთაშორისო შეჯიბრებაში გამარჯვებულმა ვ. ერშოვმა (სამხედრო-საჰაერო ძალები) და ვ. გუსევამ (საჰაერო დაცვა).

საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა ჯგუფურ შეჯიბრებებში. სტაბილურად ისპარეზეს მოსკოვისა და უკრაინის ვაჟთა გუნდებმა, რომლებმაც სამი ჩასათვლელი ნახტომის შემდეგ ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს. დამატებითმა ნახტომმა გამარჯვებულად მოსკოვის გუნდი (ი. არენსი, ა. კოტოვი, ვ. ლიხტმანი, გ. ლუნშევი, გ. პეტროვი) დაასახელა.

ქალთა შორის I ადგილი დაიკავა დოსაათის ნაკრებმა (ნ. სერგეევა, ა. შაჩკა, ს. სტარიკოვა, ნ. მამაი), რომელმაც რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში შესანიშნავ შედეგს მიაღწია.

2400 მეტრიდან კომბინირებულ ხტომაში, რომლის დროსაც ჰაერში ესტაფეტის ჯოხის გადაცემა ხდება და შემდგომ დაშვების სიზუსტეც აღინუსხება, საუკეთესო იყო დოსაათის ვაჟთა პირველი ნაკრები (ვ. გურნი, ე. გლადილოვი, ვ. მაშჩენკო). ქალთა შორის ოქრო მოიხვეჭა სამხედრო-საჰაერო ძალების გუნდმა (ვ. ზაკორეცკაია, ა. დიუქოვა, ვ. სიომინა).

ჩემპიონატის მონაწილეებმა ორი „საჰაერო იუბილე“ გადაიხადეს: მსოფლიოს რეკორდის ჩემპიონის ა. პართიონოვის ანგარიშზე ახლა უკვე 3000 ნახტომია, ხოლო გუნდურ ჩათვლაში მსოფლიო ჩემპიონის ნ. სერგეევას აქტივში — 2000.

ა. ხაჩატრიანი.
(საქდესის კორ.).

## ახალგაზრდა მფრინავების სიურპრიზი

ორიოლი, 14 სექტემბერი. სათვითმფრინავო სპორტში XIX საკავშირო ჩემპიონატი საინტერესოდ დაიწყო: 171-კილომეტრიან სამკუთხა მარშრუტის გავლის შემდეგ, რომლის დროსაც მოცემული პარამეტრები უნდა იქნას დაცული, 43 მონაწილიდან ერთბაშად ექვსმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა — 998. მხოლოდ აეროდრომზე სულ ერთი წამის უპირატესობით შესვლის სიზუსტემ ოქროს მედალი ტამბოველ ა. კოროვინს მოუტანა: ეს მისი პირველი უმაღლესი ჯილდოა.

საჰაერო ტრასაზე, სადაც ზუსტად უნდა დაეცვა დრო, სიჩქარე, ფრენის სიმაღლე და მოსაბრუნებელ პუნქტებში სახმელეთო ნიშნები ამოეცნო, მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა. კოროვინის წარმატებაზე უკვე მოგახსენეთ. II ადგილი დაიკავა ახალგაზრდა ასტრახანელმა ვ. ლეცკომ, ხოლო III — დონეცკელმა ვ. სამოილოვმა.

ამ ვარჯიშში 17 მფრინავი ქალი მონაწილეობდა. გამარჯვებულმა — ტულელმა ლ. ლეონოვამ ვაჟებზე უკეთეს შედეგს მიაღწია — ზუსტად 1000 ქულა დააგროვა. ვერცხლის მედალი მოიგო სსრ კავშირის 1971 წლის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, კალინინელმა ლ. მოროხოვამ. ყველაზე ახალგაზრდა, 20 წლის დონეცკელი ი. პროკოპენკოსთვის ბრინჯაოს მედალი ძალიან დიდი მიღწევაა, ვინაიდან თავის აქტივში მას სულ 150 საათი აქვს ნაფრენი.

გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ რსფსრ-ს წარმომადგენლები, რომელთაც ბევრით არ ჩამორჩებიან ყაზახეთისა და მოსკოვის კოლექტივები.

შეჯიბრების მონაწილეთათვის ყველაზე რთული გამოცდა იყო 100-კილომეტრიან სამკუთხედში „ბრმა“ ფრენა.

თვითმფრინავის ჯიხური ბნელი თავსახურითაა დაგმანული და მოასპარეზე ვერც მიწას ხედავს, ვერც ცას. იგი დაძაბულად უყურებს თვითმფრინავის მოწყობილობას და მისი მონაცემების მიხედვით ზუსტად იცავს მოცემულ კურსს, სიჩქარეს, სიმაღლესა და დროს.

ამ ურთულეს ვარჯიშში ყველას აჯობა ესენტუკელმა ე. ლუკიანოვამ. მეორეა ლეცკო, მესამე — კოროვინი.

მფრინავი ქალები არც ამჯერად ჩამოუვარდებოდნენ ვაჟებს — მათ პილოტაჟის ჩინებული ოსტატობა გამოავლინეს. ოქროს მედალი მოიგო მოროხოვამ, ვერცხლისა — მინსკელმა ვ. გოლდობინამ, ბრინჯაოსი — საკავშირო ჩემპიონატის დებიუტანტმა, კაუნასის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ვ. გედმინაიტემ.

ი. კოლუშინი.
(საქდესის კორ.).

## რედაქციისგან

ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზით, გაზეთის წინა ნომრის ტირაჟის ერთ ნაწილში მეოთხე გვერდზე გამოქვეყნებული XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონების ფოტოსურათებიდან ზედა კლიშეს წარწერა (ი. მალიშევი) არ ამოიბეჭდა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზაზე

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. 16 სექტემბერი. „ისნის“ სტადიონი. „ისანი“ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ხობი). დასაწყისი 16 ს. „ლოკომოტივის“ ბაზა. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ვანთიადი“ (ბორჯომი). 16 ს. 30 წთ. ვარკეთილის სტადიონი. „ვარკეთილი“ (გარდაბანი) — „კახეთი“ (თელავი). 17 ს.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99 56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-66-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.